

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას ფინანსური სტაბილურობის დეპარტამენტში, მაკროფინანსური მოდელირებისა და ანალიზის განყოფილების უფროსის პოზიციაზე.

მაკროფინანსური მოდელირებისა და ანალიზის განყოფილება ახორციელებს ფინანსური სტაბილურობის ანალიზს მაკროფინანსურ მოდელირებაზე დაფუძნებით; შეიმუშავებს რისკ სცენარებს; ანალიზის საფუძველზე წინადადებებს აწვდის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტს შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით. განყოფილება ასევე ახორციელებს საზოგადოებაში ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის ეფექტური კომუნიკაციისა და მაკროფინანსური ცოდნის ზრდის ხელშეწყობას. განყოფილების საქმიანობა ასევე მოიცავს მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს შემუშავებასა და განვითარებას. განყოფილების მოვალეობებში შედის აქტუალურ მაკროფინანსურ თემებზე კვლევითი ნაშრომების მომზადება და გამოქვეყნება.

სამუშაოს სპეციფიკა მოიცავს დინამიურ და მრავალმხრივ სამუშაოს პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს განავითაროს და წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები. ორგანიზაციის შიგნით და საზღვარგარეთ ტრენინგებზე მონაწილეობით, აგრეთვე გამოცდილ უცხოელ ექსპერტებთან ურთიერთობით, დასაქმებულს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს მსოფლიოში არსებულ თანამედროვე პრაქტიკას ამ სფეროში და გაიღრმავოს პროფესიონალიზმი.

მოვალეობები:

- განყოფილების თანამშრომლების ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა, მათ შორის: გუნდის მიზნების განსაზღვრა; თანამშრომლებისთვის დავალებების გადანაწილება და ნათლად ახსნა; თანამშრომლების უნარების განვითარებაზე ზრუნვა და სხვა.
- მაკროფინანსური მოდელირებისა და რისკ-სცენარების ანალიზის ხელმძღვანელობა;
- ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის სხდომებში მონაწილეობის ფარგლებში კომიტეტისთვის მაკროფინანსური ანალიზის წარდგენა;
- მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს შემუშავებისა და განვითარების ხელმძღვანელობა;
- ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობა და მისი მომზადების კოორდინირება. ეროვნული ბანკის სხვა რეგულარულ პუბლიკაციებში მონაწილეობა;
- ფინანსური სტაბილურობის აქტუალურ თემებზე კვლევების წარმოება, სამეცნიერო სტატიების მომზადება და გამოქვეყნება;
- განყოფილების საქმიანობის გაუმჯობესება და განვითარება;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება.

მოთხოვნები:

- განათლება: უმაღლესი (სასურველია მაგისტრის ხარისხი ეკონომიკურ სფეროში);
- ინგლისური ენა - B2; რუსული B1.

- სამუშაო გამოცდილება: საფინანსო სფეროში მუშაობის 3 წლის გამოცდილება;
- კომპიუტერული პროგრამები: MS Excel, MS Word, MS Outlook, MS Powerpoint - კარგად

სასურველია:

- MATLAB-თან და მაკრო/ეკონომეტრიკულ პაკეტებთან მუშაობის გამოცდილება;

კომპეტენციები:

- თანამშრომლის განვითარება, შეფასება, მოტივირება;
- ანალიტიკური ანგარიშის მომზადება;
- საქმიანობის დაგეგმვის, ამოცანების ეფექტიანად დელეგირებისა და მიღწეული პროგრესის მონიტორინგის უნარი;
- გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა მიდგომების გამოყენება;
- შიდა კომუნიკაციის დაგეგმვა და წარმართვა;
- ცოდნის მართვის და გაზიარების სისტემების დანერგვა და გამოყენება;
- კონფლიქტებისა და დავების მართვა; დელეგირება;
- ცვლილებების ინიცირება და მართვა.

საკანონმდებლო ბაზა: „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი; „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის მარეგულირებელი წესები და ინსტრუქციები;

კონკურსის ფორმა:

კონკურსი ჩატარდება გასაუბრების სახით.

თანამდებობრივი სარგო: 4996 ლარი (დარიცხული)